

პროექტი № 18

ავტოსამრეცხაოების ჩამდინარე წყლებში შემცველი ნავთობპროდუქტებისა და სხვა ქიმიურად ტოქსიკური ნივთიერებების დამჭერი კომპაქტური მოწყობილობა-ფილტრი

პროექტის ხელმძღვანელი - ზ. ციხელაშვილი

დაფინანსება – 8000 ლარი

შემუშავდა ინოვაციური წინადადება, რომლის დანერგვით ქალაქებისა და დასახლებული ადგილების ავტოსამრეცხაოებსა და სხვა ანალოგიური სახის ობიექტებზე მიღწევა ამ ობიექტების ჩამდინარე წყლებში არსებული ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ნარჩენების დაჭერა კანალიზაციის ქსელებში მათ ჩაშვებამდე, რითაც საერთო გამწმენდი სადგურების მუშაობის რეგლამენტის შერბილება და მიმდებარე წყალსატევების ეკოსისტემების მდგომარეობის გაჯანსაღება მიიღწევა.

შედგენილ იქნა ჩამდინარე წყლების დაბინძურების ხარისხის შეფასებისა და პროგნოზირების ზოგადი სახის დესკრიფციული (აღწერითი) ტიპის მოდელები ზედაპირულ წყალსატევებში (მდინარეები, ტბები და ა.შ) მათი ჩაშვების შემთხვევაში. მოდელები აგებულია საქართველოს კანონის გარემოს შესახებ და ევროსაბჭოს (91/271/EEC) დირექტივის თანახმად განსაზღვრული ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების შესაბამისად.

ინოვაციური წინადადება პრაქტიკულად შეიძლება განახორციელდეს ქალაქის მუნიციპალიტეტებისა და დაინტერესებული ორგანიზაციების თანადგომითა და დაფინანსებით ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიისა და რეკომენდაციების შესაბამისად.